| გაზეთი ღირს | | | |
|---|---|---|---|
| თვეზე | მან. კ. | თვეზე | მან. კ. |
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. გარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში ს. სახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1889 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1889



# სასწავლებელი და პანსიონი

ი. რ. მჭედლიშვილისა

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, ვარანცოვის ძეგლს პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

ამზადებს ბავშვებს კადეტის კორპუსისა, გიმნაზიისა და რეალურ სასწავლებლისათვის, აგრეთვე იყვანს პანსიონერებად ყველა საშუალო სასწავლებლის შეგირდებს. დაწვრილებით პირობის შეტყობა თვით სასწავლებელში შეიძლება.

პარაკლისი და დაწყება სწავლისა 4-ს სექტემბერს იქნება. (15—12)

სასწავლებელი და პანსიონი

ოლგა თეოდოსის ასულის ნასიძისა

ამზადებს ქალებსა და ვაჟებს ყველა საშუალო სასწავლებლებში მისაღებად.

კუკია, ანდრიას ქუჩა, № 21.

(5—3)


სოფ. წინამძღვრიანთ-კარის სამეურნეო სკოლის მფარველად, უპირატეს მის მართველად და შემწედ საზოგადოება არსდება. წესდების ძალით, რომელიც უმაღლეს მთავრობისაგან დამტკიცებულია, საზოგადოებას ნება ექმნება სკოლას შემწეობა აღმოუჩინოს ბალების, კონცერტების, ლატარიისა და ლექციების გამართვით და განზანაკით ფულების შეგროვებით ქალაქებში და სხვ.

საზოგადოება წევრთაგან შესდგება. წევრნი იქმნებიან: ა) საპატიო, ბ) ნამდვილნი, გ) სამუდამო და დ) თანამშრომელნი. ნამდვილ წევრად ითვლება ის, ვინც ყოველ წლივ საზოგადოების სასარგებლოდ არა ნაკლებ ხუთი მანეთისას შეიტანს, გლეხი-კი გაიღებს მანეთს. სამუდამო წევრად ის ითვლება, ვინც საზოგადოების სასარგებლოდ ოც-და-ათ თუმანს შეიტანს, ან ვეჯს, მამულს შესწირავს ოც-და-ათის თუმნისას. თანაშემწე წევრად-კი ითვლება ყველა ის, ვინც თავისის სწავლითა და ცოდნით საზოგადოებას დაეხმარება.

ამით სკოლის მზრუნველი საყოველთაოდ აცხადებს, რომ ყველამ, ვისაც-კი ჰსურს ჩაეწეროს საზოგადოების წევრად, უნდა თავისი სურვილი „ივერიის", „მეურნისა" და „ახალ მიმოხილვის" რედაქციაში გამოაცხადოს და შეიტანოს იქვე საწევრო ფული. (3—3)


პარიჟის გამოფენაზე

იწვევენ

ლეკურის მოთამაშეთა

ქალებსა და ვაჟებს მსურველთ უნდა მიჰმართონ

სასტუმრო კავკაზში

№ 21, დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. (3—2)


## ახალი ამბავი

*** ამ დღეებში ტფილისში ამბავი მოსულა, რომ სახელმწიფო ქონებათა მინისტრი, სტატს-სეკრეტარი მ. ნ. ოსტროვსკი, უნდა ჩამოვიდეს ტფილისშიო. ბ-ნი ოსტროვსკი ამ ჟამად დონის როსტოვშია თურმე, ტფილისში სექტემბრის ნახევარში უნდა ჩამოვიდეს და სამს დღეს მაინც დარჩეს. ამ სამის დღის შემდეგ წავა და თავის ქვემდებარე დაწესებულებათ რევიზიას გაუკეთებს ტფილისისა, განჯისა და ბაქოს გუბერნიებშიო.

*** გუშინ ჩვენს გაზეთში მოკლედ იყო დაბეჭდილი, რომ სახელოსნო სასწავლებლის მოწაფემ, გვარად კაკაბაძემ, ქუთაისის მაზრის სოფელ კუხის მცხოვრებმა, დანით დასჭრა მუცელში დირექტორი ამ სასწავლებლისა, ბ-ნი ხარკოვიო. აი კიდევ ზოგიერთი წვლილი ამ საქმისა: გუშინ-წინ, დილის შვიდს საათზედ, ბ-ნი ნ. ე. ხარკოვი სახელოსნოდგან გამოვიდა და თავისს სახლში ადიოდა თურმე კიბეზედ. ამ დროს წინ დახვდა ნასვამი კაკაბაძე და ჰკითხა, რომ 2 რად დამისვი ეგზამენის დროსაო. დირექტორმა უპასუხა თურმე, რომ მეტის ღირსი არ იყავიო, და გაბრუნდა. მაშინ კაკაბაძემ ამოიღო გრძელი მოსაკეცი დანა და დაარტყა. დაჭრილი მაშინვე თავისს ოთახში ავარდნილა. მოსწავლეს-კი დასცემიან მოსამსახურენი და დანა წაურთმევიათ. კაკაბაძეს კეტისთვის წაუვლია ხელი და არავინ მიუშვია ახლო, მაგრამ პოლიციელებს დაუპატიმრებიათ და პოლიციაში გაუგზავნიათ. დაჭრილთან მაშინვე ექიმები მოუწვევიათ და ჭრილობა საშიშარი არ გამომდგარა. დანა ნეკნს მოხვედრია და მოღუნულა, ასე რომ ჭრილობა ერთს გოჯზედ ღრმა არ არის. იქვე მოსულს გამომძიებელს ჩვენება ვერ ჩამოურთმევია დაჭრილისათვის, რადგან ბ-ნს ხარკოვს ბევრი სისხლი სდენია, დასუსტებულა და ამიტომ ექიმებს ავადმყოფისთვის ლაპარაკი აღუკრძალავთ. დაპატიმრებულს კაკაბაძეს პოლიციის მეხუთე განყოფილებაში მაშინვე დასძინებია და თითქმის საღამომდე სძინებია.

*** კავკასიის სამეურნეო გამოფენა დაიწყება 15 სექტემბერს. ერთი თვე უნდა იყოს გამოფენა, ესე იგი 15 ოქტომბრამდე, ხოლო თუ ერთის თვის შემდეგაც დიდ-ძალი ხალხი მოაწყდა, მაშინ გამოფენის ვადა გახანგრძლივებული იქნება მთავარ-მართებლის ნება-დართვით ოქტომბრის დამლევამდე და ან დეკემბრის ნახევრამდე.

*** გუშინ-წინ, კვირას, ახლად დანიშნულმა სემინარიის რექტორმა, მამა ნიკანორმა, მიჰმართა ეკკლესიაში მოწაფეებს მშვენიერისა და გრძნობით სავსე სიტყვით. მამა ნიკანორმა სხვათა შორის სთქვა, რომ დიდი ხანია სულითა და გულით მინდოდა ეს კურთხეული ქვეყანა მენახა და აი დღეს ყოვლად მოწყალე უფალმა შემისრულა ჩემი ნატვრა-ოცნებაო. დღეს ვიხილე მშვენიერი ბუნება საქართველოსი და მისი ქრისტეს სარწმუნოების

# ფელეტონი

## ფლორენტიული მწერალი

ამბავი

ედმონდ-დე ამიჩის „მოსწავლის დღიურიდამ".

ის ჩვენის სასწავლებლის მეოთხე კლასში იყო. თორმეტის წლის ბიჭი მშვენიერის შეხედულებისა გახლდათ. მამა მისი ჰმსახურობდა რკინის გზაზე. სახლობა დიდი ჰყავდა, ჯამაგირი-კი მაგრე რიგად არაფერი. მამას მეტად უყვარდა ეს თავისი უფროსი შვილი და სულ იმის ალერსსა და ლოლიაობაში იყო, მაგრამ თუ საქმე სწავლას შეეხებოდა, მაშინ მეტად მკაცრად ეკიდებოდა. უსათუოდ საჭირო იყო, რომ უფროსს შვილს მალე ეშოვნა რაიმე სამსახური და ამისათვის ხომ სწავლა იყო საჭირო. მართალია, ბავშვი თავის თავადაც ერთგულად მეცადინეობდა, მაგრამ მამაც, რაც შეეძლო, ახალისებდა და ხელს უწყობდა შვილს. მამა შუა ხანს გადასული იყო და მომეტებულის შრომისაგან გატეხილიყო. თავისის მცირე ჯამაგირით რომ ოჯახს ვერ უძღვებოდა, კერძოდ გადასაწერ საქმეებს შოულობდა და ამიტომ მთელს ღამეს წერაში ატარებდა. უკანასკნელად ერთმა წიგნების ვაჭარმა, რომელიც ჟურნალსა ჰბეჭდავდა, მიანდო ბანდეროლების დაწერა— უნდა ეწერა სახელი, გვარი და საცხოვრებელი ადგილი ხელის-მომწერლებისა. ხუთას ამისთანა სუფთად და გარკვევით დაწერილს ადრესში თხუთმეტ შაურად გაურიგდა. მოჰღალა ამ მუშაობამ და არა ერთხელ სჩიოდა ხოლმე სადილზე,— თვალები როგორღაც აღარ მიჭრის, ეს საქმე სწორედ დამაბრმავებსო. მეც შემოგეშველები, მამავ! მე და შენ ხომ ერთ გვარი წერა ვიცით. არაო, უპასუხა მამამ: შენი სწავლაზე მოცდენა უფრო დასაკლისია, ვიდრე ბანდეროლების წერა. ჩემის მიზეზით რომ ერთი საათი მოსცდე, სინიდისი აღარ მომასვენებს. მე გთხოვ ეგ აღარ განიმეორო.

ჯულიომ კარგად იცოდა მამის ხასიათი, აღარ აუხირდა და სხვა გვარად აასრულა თავისი წადილი. ყოველთვის ღამის თორმეტს საათზე ათავებდა წერას ჯულიოს მამა და მიდიოდა ხოლმე დასაძინებლად. არა ერთხელ გამოჰღვიძებია ამ დროს ჯულიოს საათის ხმაზე და შემოსმენია თავის მამის ნელად სიარული. ერთს ღამეს სულ-განაბულმა და ლოგინში მწოლარე ჯულიომ უდარაჯა თავის მამას. აი მამაც გამოვიდა სამუშაო ოთახიდგან, შევიდა საწოლს ოთახში და დაწვა. ბავშვი ფრთხილად შეიპარა სამუშაო ოთახში და აანთო სანთელი. საწერ მაგიდაზე იდო ერთი გროვა ბანდეროლები და ადრესების სია. ჯულიომ დაიწყო წერა და ცდილობდა მამის ხელისთვის მიემსგავსებინა. მუშაობდა სიამოვნებით, ხალისით. დაწერილი ბანდეროლები თანდათან ბევრდებოდა. ხანდახან შესდგებოდა ჯულიო, ცოტა ხანს გასჭიმავდა ხელს და ისევ იწყებდა წერას. დასწერა ას სამოცი ბანდეროლი. მამის მისაღებ ფულს ხუთი შაური კიდევ მიუმატა. გააქრო მერე სანთელი, მიალაგ-მოალაგა მაგიდა და ფეხ-აკრეფით გამოვიდა, შევიდა თავის ოთახში და დაწვა.

მეორე დღეს სადილზე ჯულიოს მამა კარგს გუნებაზე იყო. იგი მუშაობას საათობით ანგარიშობდა და ამიტომ ვერ შეიტყო შვილის ოსტატობა. როცა დაწერილი ბანდეროლები გადათვალა, ნახა, რომ ბევრი იყო და ძალიან ესიამოვნა. სადილზე რომ დასხდნენ, სიცილით უთხრა შვილს: ჯულიო, შენა გგონია, რომ მამაშენი მოუძლურდა და ველარა მუშაობს? არა! გუშინ საღამოს ორის საათის განმავლობაში ნახევარი სამუშაო დავასრულე. კარგა ხანია ასე ერთგულად არ მიმუშავნია. სჩანს ჯერ კიდევ ხელში ღონე და თვალში სინათლე არ გამომლევია... ჯულიო მეტად გაახარა მამის სიტყვამ და თავის გუნებაში გაიფიქრა: საწყალო მამავ! მეტის ფულის აღება გახარებს, ხოლო ის-კი გიორკეცებს სიხარულს, რომ ჯერ კარგს ჯანზე ხარ, მაშ კარგი საქმე მომსვლიაო.

გამხნევებული ჯულიო მეორე ღამესაც სწორედ თორმეტს საათზე შეუდგა საქმეს. მამამ ჯულიოს კარგა ხანს ვერ შეუტყო ეს ეშმაკობა. ერთხელ ვახშამზე-კი სთქვა: საკვირველია, ამ უკანასკნელს დროს ასე ბევრი სანთელი რად ვეხარჯებაო? ჯულიო ამ სიტყვაზე ცოტა შეკრთა, მაგრამ მალე დამშვიდდა, რადგან ჯულიოს დედამ სულ სხვა საგანზე ჩამოაგდო ლაპარაკი. ღამის მუშაობა თავის რიგზედ მიდიოდა. ღამის ტეხა და ჯაფა მალე დაეტყო ბავშვს. დილით დაღლილი დგებოდა და საღამოთი გაკვეთილების მზადების დროს სთვლემდა ხოლმე. დღეს პირველად დაეძინა რვეულზე. ჰა! საქმის დროს ძილი? დაუყვირა მამამ. ჯულიომ თვალები წამოაჭყიტა და ისევ საქმეს შეუდგა. მაგრამ ეს უბედურება მეორე და მესამე დღესაც შეემთხვა მეცადინეობის დროს. დილით გვიანა დგებოდა და გაკვეთილებსაც უნდომლად ამზადებდა, თითქო სწავლა შეეჯავრაო. მამა გაჯავრებით ადევნებდა თვალს, ამჩნევდა უხალისობას და ბოლოს ყვედრებაც დაუწყო. წინად არას დროს არ მაგიყვანიხარ აქამდე, ჯულიო! შენ, გატყობ, რაღასაც მატყუებ, მთლად გამოიცვალე. ეგ კარგი არ არის. მთელი ოჯახი შენ შემოგხარის. შენი იმედი გვაქვს. მე კმაყოფილი არა ვარ შენი, გესმის? ამ პირველმა საყვედურმა ბავშვი საშინლად შეაწუხა.—არა, ჰფიქრობდა ბავშვი: ასე არ ვარგა, მოტყუება სისაძაგლეა...

იმავე დღეს სადილზე გახარებულმა მამამ წამოიძახა: იცით, ამ თვეში ბანდეროლების წერაში რვა მანეთით მეტი მერგო, ვიდრე წინა თვეში. სთქვა და მაგიდის უჯრიდამ ყუთით ხმელი ხილი ამოიღო. ხილი ბავშვებისათვის საჩუქრად ეყიდნა, რადგან მეტი ფული აიღო ამ თვეში. ბავშვები ძალიან გაახარა მოულოდნელმა საჩუქარმა. ჯულიო გაჩუმებული იჯდა და ჰფიქრობდა: არა, ჩემო მამავ! მუშაობას არ მოვიშლი! ვეცდები დღისით ბეჯითად ვისწავლო ჩემი გაკვეთილები და ღამ-ღამით შენთვის და ოჯახისათვის ვიშრომო.

— რვა მანეთი, განაგრძო ისევ მამამ: მე საშინლად მახარებს, მხოლოდ ეს (შეჰხედავს ჯულიოს) ძალიან მაჯავრებს... ჯულიოს ეწყინა მამის საყვედური, მაგრამ არ შეიმჩნია, რადგან ამ წყენასთან სიამოვნებასაცა ჰგრძნობდა გულში.

ბავშვი ორის თვის განმავლობაში განუწყვეტლივ ერთგულად მუშაობდა. დღისით გაკვეთილებს ამზადებდა და ღამე მამის მაგიერ სწერდა. მუდმივმა მუშაობამ თავისი დაღი დაასვა ბავშვს. მამა გაჯავრებით უყურებდა და ბოლოს ხომ სასწავლებელშიაც წავიდა შვილის ამბის შესატყობლად.

— ეგ სხვებს არ ჩამორჩენია, ეუბნებოდა მასწავლებელი: არ ჩამორჩენია იმიტომ, რომ საუცხოო ნიჭი აქვს. ეს არის მხოლოდ, რომ წინად უფრო ხალისითა სწავლობდა. ეხლა ხშირად გაკვეთილებზე სთვლემს, ამთქნარებს, წინანდებურად ყურს არ გვიგდებს. თხზულებას ხომ სულ პატარ-პატარასა და უსუფთაოდ სწერს, თუმცა-კი უკეთ შეუძლიან წერაცა და მეცადინეობაც.

იმავე საღამოს მამამ ცალკე ოთახში შეიყვანა ჯულიო და მკაცრად დაუწყო ლაპარაკი:

— ხომ ჰხედავ, რომ ოჯახისათვის მუშაობაში სულს ვირთმევ, შენ უნ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთგული და მამაცი ქართველი ერი. მე მოველ აქ თქვენდა აღსაზრდელად, ძეიროფასნო მოწაფენო, და თქვენდა განსაწვრთნელად. ძალ-ღონეს და შრომას არ დავიშურებ თქვენდა საკეთილდღეოდ. იმედი მაქვს, განაგრძო მამა ნიკანორმა: რომ თქვენც ერთგულად შეუდგებით თქვენის მოვალეობის აღსრულებას და ერთგულად, გულ-მხურვალედ მოეკიდებით სწავლას. დასასრულ მამა ნიკანორმა აკურთხა და დალოცა მოწაფენი.

*** **გორი:** ჩვენს ქუჩებში ადამიანს არ გაევლება: მტვერი, ჩეჩქი, ნაგავი, ნეხვი, ბუჩო და ათასი სხვა-და-სხვა გულის შემზარავი სიბინძურე გეჩხირებათ თვალში. რაღაც განგება სწყალობს გორს, თორემ რატომ ჭირი არა ჩნდება ამისთანა სიბინძურის გამო. ქალაქის პატრონი არავინ არის. იმედი აქვთ ახალის მოურავისა, რომლის არჩევანი ამ თთვის ათში იქნება. ვნახოთ. აღდგომა და ხვალაო. ამასაც მალე მოვესწრებით.

*** **ბოყე-პრომისლი** (ჯევათის მაზრა): ფითოევის ამხანაგობა ჰგზავნის კავკასიის სამეურნეო გამოფენაზე ყველა იმ ნივთების ნიმუშებს, რომელნიც-კი იხმარებიან თევზაობაში, მაგალითად, ბადეებს, ნავებსა, ჩანგლებს და სხ. იგზავნება აგრეთვე მებადური.

*** **იქიდამგე:** ცოტა აგრილდა. ღამე ნამიანია. წვიმები-კი არა ყოფილა. მაისს აქეთ ნამი წვიმა არ გვინახავს. წყალ-დიდობამ მოსავალი თუმცა ბლომად იმსხვერპლა, მაგრამ პური მაინც იაფია, ხალვარი (25 ფუთი) 15—16 მანეთად იყიდება. ციებ-ცხელებაც ნელ-ნელა ძლიერდება. გაზაფხულზედ გადმოვარდნილი წყლები ჯერ კიდევ არ დამშრალა. წყალი დალპა და საშინელი სუნი ასდის. ლენქორანის გზაზედ, სოფელ ანდრეევკას ქვევით, ათის ვერსის მანძილზეა მოდებული წყალი და მგზავრმა შიგ წყალში უნდა გაიაროს. ალაგ-ალაგ ისე ღრმაა, რომ „პოვოსკაში“ ამოდის წყალი. ამას ჯანი გავარდეს, წყალი რომ არა ყარდეს, ვინ ინაღვლიდა. თევზებიც-კი ეღარ უძლებენ სუნს, იხოცებიან და კიდევ უფრო უარესად იწამლება ჰაერი. ამას წინად რუსის ყაზახი მიდიოდა, სიმყრალის სუნი ვეღარ აეტანა და გული შესწუხებოდა, ასე რომ ცოცხალ-მკვდარი გამოათრიეს.

*** **იქიდამგე:** 13 მარიამობისთვეს, ბოქე-პრომისლის ეკკლესიაში, წირვის დაწყებამდე, ადგილობრივის მღვდლის მირონ-ცხებითა და მეოხებით შემოუერთდა მართლ-მადიდებელს ეკკლესიას მწვალებელი ვასილ მისინი. ამავე მღვდელმა მონათლა ორს თიბათვეს მალაკნის დედაკაცი ორის პატარა ქალიშვილით, რომელთაგან უფროსი იყო ცხრა წლისა და უმცროსი შვიდის წლისა. იმავე მღვდლის მეოხებით შენდება ბოქე-პრომისლში საკრებულო სახლი და სამრევლო სკოლა. სახლი დაჯდება არა ნაკლებ ორასის თუმნისა.

*** **სოფ. დიდი ჯიხაიში** (ქუთაისის მაზრა): ჩვენში 1878 წლიდგან არსებობს ერთ-კლასიანი სკოლა. წელს-კი ამ სკოლის ორ-კლასიანად გადაკეთება განვიზრახეთ და კიდეც შევისრულეთ ჩვენი წადილი. 27-ს მარიამობისთვეს დანიშნული გვქონდა საზოგადო კრება, რომელზედაც დაესწრნენ სახალხო სკოლების დირექტორი ქორქიევი, სამტრედიის ბოქაული გაიანი და სკოლის მზრუნველი თავ. ალექსანდრე მერაბის ძე ჩხეიძე. ბ. ნმა მზრუნველმა გამოუცხადა ინსპექტორს, რომ მზად არის შეძლებისამებრ დახმარება და შეწევნობა აღმოუჩინოს სკოლას. თავადმა ჩხეიძემ იკისრა სასკოლო შენობის აგება თავისის ხარჯით და დაუთმო სკოლას 900 ოთხ-კუთხი საჟენი მიწა, რომელიც ზედ სკოლაზე არის მოდებული. საზოგადოებამ დიდი მადლობა მოახსენა თავად ჩხეიძეს და მასწავლებელთა ხარჯი თითონვე იკისრა: ერთს მასწავლებელს დაუნიშნა 300 მანეთი ჯამაგირი, მეორეს—250 მ. და მოსამსახურეს—50 მანეთი.

*** **ხაშური:** ამ დღეებში ვიღაცა ბოროტმა კაცმა ცეცხლი წაუკიდა სიმონ თევდორაძის ყაზარმას. პირველად ცეცხლი შეამჩნია მატარებლიდგან რკინის გზის კონდუქტორმა, რომელმაც კიდეც გააქრო ცეცხლი

*** **გომი** (სურამის მხარე): მკითხველმა იცის გაზეთებიდგან, რამდენად გახშირდა გომში ქურდობა. ამ სამის წლის განმავლობაში არ დასტოვეს ამ ღამის რაინდებმა არც ერთი დუქანი დაუთვალიერებელი და ნადავლიც საკმაოდ ბევრი წაიღეს. განსაკუთრებით დაიჩაგრნენ მგზავრები, რომლებიც თავ-შეფარებულნი იყვნენ ხოლმე დუქნებში. ამ დუქნებიდგან ზოგისა ვერცხლის ქამარ-ხანჯალი წაიღეს, ზოგისა—ტანისამოსი და შეკრული ცალები შალის ჩოხებისა. ცხენებისა, ძროხებისა და ხარების პარვას ხომ ანგარიში არა აქვს. შარშან იყო და გზის ოსტატ თევზაძისა სამი სული ძროხა წაიყვანეს, არაბიძისა რამდენიმე სული ხარი. 3-ს ამ თთვეს ევგენ მამაცაშვილის თავლიდგან გაიყვანეს ორი ცხენი, რომელიც ეკუთვნოდა თავად მიხეილ და გიგო ამირეჯიბებს. ამ უკანასკნელს თავისი შვილი მოეყვანა სასწავლებელში გასაგზავნად ტფილისში და იმ ღამეს სახლში ვეღარ დაბრუნებულიყო. ცხენები დაებათ თავლაში და დიდი კლიტე დაედოთ ზედ, რადგანაც ქურდების შიში ჰქონდათ: ამ სამის თთვის წინადაც გასტეხეს ეს თავლა და ორი ცხენი მაშინაც წაიყვანეს. ვერც ამ კლიტემ უშველა ცხენის პატრონს. არც ერთი ქურდი არ აღმოუჩენიათ და არც იმედია, რომ აღმოაჩინონ.

*** რუსული გაზეთები გვატყობინებენ, რომ სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ დაადგინა, კავკასიაში, ბესარაბიასა და ყირიმში ვენახების საურთიერთო დაზღვევა შემოიღოს ფილოქსერისა, მილდიუსა და სხვა ავადმყოფობისაგან. ამ საგნის განხილვა და გამორკვევა სამინისტრომ მიანდო ამ ქვეყნის სხვა-და-სხვა დაწესებულებასა. სამინისტროს უკვე მიუღია ამ დაწესებულებათა პასუხი და ყველას სასიკეთო საქმედ უცვნია ვენახების დაზღვევის შემოღება. საუკეთესო ვენახის (ერთი დესიატინა) ზღვევის ფასი 400 მანეთია, შუათანა ღირსების ვენახისა—200 მანეთი. დაზღვევა შემოღებულ იქნება მომავალს წელს.

---

### მგზავრის შენიშვნები

(სიღნაღის მაზრა, სოფ. გურჯაანი)

სოფ. გურჯაანი სიღნაღის მაზრაში და როგორც ხალხის რაოდენობით, ისე სიმდიდრითა და ბუნებით საუკეთესო სოფელთაგანია მთელს ორს მაზრაში. სიგძით თითქმის ექვსი ვერსი უჭირავს და შეიცავს 530 კომლზე მეტს მცხოვრებს, რომელნიც უბნებად არიან დაყოფილნი: ა) კოტეხი—15 კომლი, ბ) ნაღვბუარი—27 კომ, გ) ნათლის-მცემლის უბანი—70 კომლი, დ) კალოების უბანი—30 კომ., ე) ხევის უბანი—190 კომ., ვ) სახასო—80 კომ, ზ) ზემო უბანი—60 კომ., და თ) ჭანდრის ანუ ძაღლის უბანი—60 კომ., სულ 532 კომლი. ამ სოფელში სამი სამრევლოა მ. პ. კარბელაშვილისა, მ. ს. კოპაძისა და მ. გ. წიბალოვისა. მ. წიბალოვის სასამრევლოში არის ძველი ყველა-წმინდის ეკკლესია, ნამონასტრალი, შესანიშნავი როგორც არხიტექტურით, ისე ღვთის-მშობლის ხატით და ძველის ხელთ-ნაწერ საეკკლესიო წიგნებით. ეს ეკკლესია მდებარეობს ორის ვერსის სიშორეზედ სოფლიდგან, ტყეში, ყოვლად წმინდის ხევის პირას. თვით ეკკლესია დიდია, მშვენიერის ხელოვნებით არის ნაშენი და აქვს ორი გუმბათი. შუამდე ერთ ნაირის პატყელის ოთხ-კუთხ ქვით არის ნაშენი, ხოლო შუას ზევით ეკკლესიაც და გუმბათებიც ერთნაირის პატყელის ტლანქის აგურით არის ნაშენი. შიგნით ეკკლესიასა აქვს სამხრეები, რომელიც დამყარებულია ექვს დიდს სვეტზედ, რის გამოც ეკკლესია ორსართულიანი გამოდის: ორი სამწირველო დაბლა არის და ორიც მაღლა სამხრეებზედ. დასავლეთით ამ ეკკლესიას აქვს აივანი მეორე სართულში. კარები და ფანჯრები აქვს სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ. ეკკლესია მთლად დაცულია, ისე რომ წვეთი არსაიდგან ჩადის. მხოლოდ გარედგან ზოგან გამოცვივნულა ოთხ-კუთხი ქვები. აქვე ეკკლესიის გვერდით არის გვირაბი დაბლა ხევში ჩასასვლელად. როგორც ზევითა ვსთქვით, ამ ეკკლესიაში არის ძველი მშვენიერად ნახატი ღვთის-მშობლის ხატი, რომელიც დახატულია კაკალზე და მთლად მშვენიერად დაჩუქურთმულ ოქროში ზის. იმდენი ოქრო აქვს ამ ხატს, რომ

---

და ჩემი თანაშემწე იყო, მაგრამ გეტყობა უჯიგრო ჰყოფილხარ. შენ არ გაგონდება არც მამა, არც დედა, არც ძმები!..

— ნუ, ნუ მეუბნები მაგას, მამავ! წამოიძახა ტირილით ბავშმა და ისის იყო აპირებდა გამოტეხას, მაგრამ მამამ შეაყენა.

— შენ კარგად იცი ჩვენი მდგომარეობა. იცი, რომ თუ არ შრომა, შრომა განუწყვეტელი, ძლიერ ცუდს ყოფაში ჩავცვივით. იმედი მქონდა ამ თთვეში ოც-და-ხუთ მანეთ საჩუქარს მომცემდნენ, მაგრამ დღეს ნამდვილად შევიტყე, რომ ვერაფერ საჩუქარსაც ვერ მივიღებ.

ჯულიო თუმცა გამოტეხას აპირებდა, უნდოდა ყველაფერი ეამბნა, მაგრამ ეხლა-კი ისევ შესდგა, სიჩუმე ამჯობინა, რა-კი შეიტყო თავის მამის იმედის გაცრუება. არა, არ ვეტყვი! დეე, ეს ჩემი ქცევა ისევ დაფარული იყოს. მამავ! მე გაწუხებ, მაგრამ სიტყვას გაძლევ, რომ კარგად ვიმეცადინებ და შემდეგ კლასში უკეთეს შეგირდად გადავალ. სრული ორი თთვე ამის შემდეგ ჯულიო ისევე იქცეოდა, როგორც წინად: ღამით მამის მაგიერ მუშაობდა, დღისით თავისს საქმეებს ასწრობდა. მამამ არაფერი იცოდა და თავის მხრივ ყვედრებას არ აკლებდა, მაგრამ უბედურება ის იყო, რომ მამა თანდათან რაღაც უგულოდ შეიქმნა. შვილი თითქო შეიჯავრა და ლაპარაკითაც აღარ ელაპარაკებოდა. თითქოს დაკარგულად სთვლიდა და იმისაგან კარგს აღარას მოელოდა. ჯულიო ჰხედავდა ამას და იტანჯებოდა. მამა თვალს არიდებდა და მწუხარე შვილი-კი თავის გულში ესიყვარულებოდა, ეალერსებოდა მამას. თან უზომო შრომამ და თან მამის დარდმა დაასუსტა, ძვალ-ტყავად აქცია ჯულიო და სწავლითაც ხომ უხალისოდა სწავლობდა. ის კარგადა ჰგრძნობდა, რომ ოდესმე ღამის მუშაობა უნდა შეეწყვიტნა. ამისთვის ყოველ საღამოს გადასწყვეტავდა ხოლმე, რომ ამაღამ აღარ ვიმუშავებო, მაგრამ შესრულდებოდა თუ არა ღამის თორმეტი საათი, თავს ვერ იმაგრებდა: სინიდისი თითქო ჰქეჯნიდა, მოსვენებას არ აძლევდა. ადე, შეასრულე შენი მოვალეობა, ნუ აკლებ ოჯახს შენს შრომასაო. სინიდისი აწუხებდა და ისიც ვერ ისვენებდა, დგებოდა ლოგინიდგან, იწყებდა საქმეს და გულს ამითი იკეთებდა: მამას ერთხელაც არის გამოეღვიძება, მუშაობაზე მომასწრობს, ან არა და, შეიძლება ერთხელ როდისმე დათვალოს ბანდეროლები, შეიტყოს თავისი შეცდომა და ამ გვარად ყველაფერი თავის თავად გამოაშკარავდესო... ესე გადასწყვიტა, მაგრამ ერთმა შემთხვევამ კინაღამ სრულებით არ შეაცვლევინა ეს გადაწყვეტილება. ერთ დღეს სადილზე დედამ შეჰხედა ჯულიოს და ჰკითხა: შვილო, ავადა ხარ? მერე მიუბრუნდა ქმარს: შეჰხედე ერთი რა გაყვითლებულია, სწორედ ავად არის. მამამ გვერდზე გადახედა შვილს და დაღონებით სთქვა: უმსგავსმა სინიდისმა უმსგავსი ავადმყოფობა იცის. როცა კარგა სწავლობდა და კეთილი შვილი იყო, აკი ავადაც არა ჰხდებოდა. რაებს ამბობ, ავად არის, წამოიძახა დედამ. და ვუყო მერე, ავად არის და ბრძანდებოდეს. ლახვარსავით მოჰხვდა ბავშვს მამის სიტყვები: ჩემს ჯან-მრთელობას არ დაეძებს მამა, რომელიც წინად ერთ ვაი-ვაგლახს ასტეხდა, მცირეც რომ დამეხველებინა ხოლმე. ეჰეი არ არის, რომ მამის გულში ბინა დავკარგე. მამავ! გათავებულია!.. მე არ შემიძლიან ვიცოცხლო შენს სიყვარულს მოკლებული! მე ყველაფერს გაგიმხელ, აღარ მოგატყუებ, ვიმეცადინებ! რაც იქნება—იქნება, ოღონდ სიყვარულს ნუ მომაკლებ! ეხლა-კი ნამდვილად გადავსწყვიტე... სთქვა თავისთვის ჯულიომ. თუმცა ასე გადასწყვიტა, მაინც დანიშნულს დროს ჩვეულებრივს ვადაზე წამოდგა ლოგინიდგან, მოუნდა უკანასკნელად შეეხედნა და დაეთვალიერებინა ის ოთახი, სადაც ამდენი ხანი ასე იდუმალად მუშაობდა, სადაც პირველად დაიწყო ოჯახისთვის შრომა. ჯულიომ სანთელი აანთო. აი ბანდეროლებიც! მაგრამ გათავდა! არას დროს აღარ დასწერს ადრესებს, რომელიც გაზეპირებული ჰქონდა. მცირე ხანს ისე დაჰყურებდა მაგიდას. ბოლოს თავი ვეღარ შეიმაგრა და უცბად წაავლო ხელი კალამს. ამ დროს იდაყვი მოარტყა წიგნს და წიგნი იატაკზე დაეცა. ბავშვი გაფითრდა: რა იქნება, მამას რომ გამოეღვიძოს! მართალია, ცუდს საქმეზე არ მომატანს და თითონ მეც გადაწყვეტილი მქონდა ყველაფერში გამოვსტეხოდი მამას... მაინც-კი... მამის ჩუმად ზნელს ოთახში შემოსვლა... შეიძლება დედას გამოეღვიძოს და შეეშინდეს. პირველად მოუვიდა ფიქრად ბავშვს, რომ მამას თითონვე შერცხვება, თუ საქმეზე შემომასწრო, იგრძნობს თავის დანაშაულსაო. ჯულიო შეკრთა და სულ-განაბული ყურს უგდებდა. ირგვლივ სიჩუმე იყო. შემდეგ ყური მიადო კარებს, ყველას ეძინა. ეტყობა წიგნის რახუნს მამა არ გამოუღვიძებია. ჯულიო დამშვიდდა და შეუდგა ისევ საქმეს. დაწერილი ბანდეროლები სწრაფ ბევრდებოდა. მიყრუებულ ქუჩიდამ ისმოდა მხოლოდ ერთ გვარი ფეხის ხმა პოლიციელისა და ურმების მძიმე ჭრიალი. უცებ სრული სიჩუმე ჩამოვარდა. მარტო შორიდამ ძაღლების ყეფა-ღა ისმოდა. ჯულიოს თითქო დაავიწყდა ყველაფერი. თავ-აუღებელი სწერდა და იმისი მოხუცი მამა-კი ზურგს უკან უდგა. წიგნის რახუნს გამოეღვიძებინა, მარჯვე დრო შეერჩია და ფეხ-აკრეფით შემოსულიყო ოთახში. ბავშვს ურმის ჭრიალში ვერ გაეგო ვერც იმისი ფეხის ხმა, ვერც კარების გაღება. მამას შვილის შავ თავზე დაეხარა თავისი გაჭაღარავებული თავი და სიამოვნებით დასცქეროდა ბავშვის კალამს. იმ წამსვე ყველაფერი შეიტყო, ყველაფერს მიხვდა, სიყვარულმა და შენანებამ შეიპყრო მთლად იმისი გული და სული შეუგუბა: ჯულიო! წამოიძახა აკანკალებულის ხმით მამამ და მოეხვია ბავშვს კისერზე.

— მამავ! მაპატიე, მაპატიე, შეჰყვირა ბავშმა.

— შენ, შენ, მაპატიე, უპასუხა ტირილით მამამ და დაუწყო კოცნა. ეხლა შევიტყე, ვცან ყველაფერი! მე, მე გთხოვ მაპატიო, ჩემო კეთილო შვილო! კეთილო ანგელოზო!.. არა, წავიდეთ!.. აიყვანა იმან ხელში ჯულიო და შეიყვანა დედასთან. დედას გამოჰღვიძებოდა. მოეხვიე ჯულიოს... ჩვენს ანგელოზს... სამი თთვეა ჩემს მაგიერ არა სძინავს და მუშაობს. . მე კი ვაჯავრებდი, ვაყვედრიდი ჩემს შვილს, რომელიც თავისის შრომით ლუკმას არ გვილევდა. სიხარულით აღვსებულმა დედამ მაგრად ჩაიკრა გულში შვილი... წადი ეხლა, მოისვენე, ჩემო კარგო! ეუბნებოდა დედა წაიყვანე... მამამ ხელში აიყვანა ბავშვი და შეიყვანა თავის ოთახში, გაჰხადა და დააწვინა. საბანი გარშემო ამოუკეცა და გვერდით მოუჯდა გმადლობ, გმადლობ, მამა! ეუბნებოდა შვილი. წადი შენც მოისვენე! მე ისეც ბედნიერად მიმაჩნია ჩემი თავი. მამა უძრავად იჯდა. იმას უნდოდა ენახა, როგორ დაიძინებდა იმისი საყვარელი შვილი. დაიძინე დაიძინე, ჩემო კარგო! ჩემო ანგელოზო! მართლაც მოქანცულს ჯულიოს მალე დაეძინა.. ამ სამს თთვეში პირველი იყო იმისთვის ისე მოსვენებით ძილი. მზე კარგა ხნის ამოსული იყო, როცა გამოეღვიძა ჯულიოს. იმას გვერდით, ბალიშზე, ჭაღარა თავი დაედო იმისს მოხუცს მამას და ტკბილად ეძინა. შვილის გვერდით დასძინებოდა და ჯერ არ გამოჰღვიძებოდა.

ი. ცისკარაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიმძიმით თითქმის ათ გირვანქაზე მეტი იქნება. ეს ხატი სიმაღლით ათი გოჯი იქნება და სიგანით შვიდი. ხატის ბოლოს ოქროზედ მხედრულის ასოებით არის შემდეგი წარწერა:

ქ. ღმერთო და ყოვლად წმინდა ღმრთის მშობელო
შეიწყალე სული მონის შენის
(აქ წაშლილია, როგორც ეტყობა, ძალათ)
ნოდარის უცოცხლენ ამისი შვილნი.

როგორც წარწერიდგანა სჩანს, ეს ხატი შეწირულია ნოდარ ჯორჯაძისაგან, რომელიც კახთ მეფის სახლთუხუცესი იყო. ეს ნოდარი ახლდა ქეთევან დედოფალს და ამის შვილ ალექსანდრეს შაჰ-აბაზთან განჯაში 1615 წ. ამავე წელს შაჰ-აბაზმა ჩააბარა ნოდარს კახეთის გამგეობა, ხოლო სამის თვის შემდეგ ნოდარი და დავით ასლანიშვილი გაგზავნეს კახელთ თეიმურაზთან ამ სიტყვით. „მოვედ და ეპატრონე კახეთს საბატონოსა შენსა“. იხ. ქართ. ცხოვ. 117 გვ. ამ ეკკლესიაშივე არის ერთი ვერცხლის საცეცხლური, რომელიც, როგორც ზედ წარწერიდგანა სჩანს, იმერეთის მეფის სოლომონის დის მარიამის შეწირულია. ამავე ეკკლესიაში არის ხელთ-ნაწერი პარაკლიტონი და ძველის მხედრულის ხელით ნაწერი სახარება. პარაკლიტონს ბოლოში აწერია: „მე უბრალო ვარ თუ მრუდად რამე მოვიდეს სიტყვა დედა წიგნი პატრონსა ქეთაონს ეთხოვნა სალირაშვილისაგან იმზედან დამიწერია, არა დამიკლია-რა ყოველმან უწოდეს რაიცა სხვასა წიგნზედან არა გამიმართავს: ქაღალდი მქონებოდა და დედა გვერდთაცა გავათავებდი. პატრონის ყმასა ბევრსა შევეხვეწე არავინ გაივლინა მე უბრალო ვარ“. მეორე ალაგასაც არის წარწერა, რომლიდგანაცა სჩანს, რომ ეს პარაკლიტონი დაწერილია მეფეთ მეფის ასულის ქეთაონის ბრძანებით, ზოსიმე კოჰობაძისაგან. ზოსიმე თავის ნაწერს უწოდებს „პარაკლიტონი“-ს. ძველი სახარება, რომელიც ზევით მოვიხსენიეთ, არის ნაწერი ეტრატზედ. მახარობლები მშვენიერის ხელოვნებით არიან დახატულნი. ეს სახარება ნაწერია ვიღაც გიორგისაგან და ერთ ალაგას ამბობს, რომ ბერძნულ სახარებასთან არის შედარებულიო. ყდაზედ სახარებას აწერია: ეს სახარება ენისელთ მოურავის შვილის ქაიხოსროსია.

ყველა-წმინდის ეკკლესიიდგან წავედით წამებულის წმ. გიორგის ეკკლესიაში, რომელიც გურჯაანის ტყეშია წამებულის ხევის პირას. სოფლიდგან ამ ეკკლესიამდე სამი ვერსი იქნება და გზა სულ ხევზედ მიდის რიყე-რიყე. ძალიან მიმალულ ალაგას არის ეკკლესია, ასე რომ ვიდრე ეკკლესიასთან არ მიხვალთ, იმისი დანახვა შორიდგან შეუძლებელია. ძალიან ბევრი მლოცავი იცის თურმე 23 აპრილს და 10-ს გიორგობისთვეს. გაღმიდგანაც-კი მოდიან აქ სალოცავად, თუმცა თითქმის ორმოცი ვერსი იქნება ამ ეკკლესიამდე. ეკკლესია პატარა არის, უგუმბათო, აქვს ქვიტკირის კანკელი და შუაში შედგმული, ერთი სვეტი, რომელიც სიმაგრისავის უნდა იყოს შედგმული, რომ შუა თაღი არ ჩამოინგრეს, ხოლო ხალხი აი რას მოგვითხრობს ამ სვეტის შესახებ: ძველად, როცა ძალიან შიშიანობა ყოფილა, ყველა-წმინდის ბერებს წამოუღიათ ყველა-წმინდის ხატი წამებულის ეკკლესიაში, აუშენებიათ სვეტი შუაში და შიგ დაუტანებიათ ეს ხატი. ამის შემდეგ გასულა კარგა ხანი, დახოცილან ის ბერებიც და ხატი დარჩენილა სვეტში. თითქმის ასის წლის შემდეგ ერთ ყველა-წმინდის ბერს უნახავს სიზმარში ღვთისმშობელი, რომელსაც უთქვამს ბერისთვის, რომ ამა-და-ამ ალაგას დატყვევებული ვარ და გამომიყვანეთო. მეორე დღეს წასულან ყველა ბერები, გამოუღიათ ხატი და გალობითა და დიდის ამბით გადმოუტანიათ ყველა-წმინდის ეკკლესიაშიო. ამ ეკკლესიაშივე ვნახე ორი რკინის კეტი ხორკლიანის თავებით. საომარი იარაღი უნდა ყოფილიყოს, რომელსაც ხის კეტზედ დაასომდნენ და ისე იხმარდნენ. ხის კეტის ნაშთი ეხლაც არის შიგ ჩარჩენილი.

აქვე გვერდით არის პატარა დანგრეული ეკკლესია, ძველი ნამარნალი, მთლად შენახულის ქვევრებით, და ძვლებით სავსე აკლდამები. როგორც ეტყობა, წინად აქ მონასტერი ყოფილა, მეორე დღეს დილით ადრე წაველი სოფ. ვეჯინში, რომელსაც წამებულის ხევი ჰყოფს გურჯაანიდგან. ვეჯინიც დიდი სოფელია, 400 კომლზედ მეტი. დაყოფილია ესეც რამდენსამე უბნად: ა) ხირკოკი, ბ) საკუთარი ვეჯინი, გ) ფურცელაძიანთ უბანი და დ) კეჰა. ამ სოფელში არის შესანიშნავი ამაღლების ეკკლესია, რომელიც ძალიან მაღლობზედ მდებარეობს, ცივ-გომბორის მთის ყელში. ამ ეკკლესიას ღვთაების ეკკლესიას ეძახიან მეორე სახელს. შესანიშნავი სტრატეგიული ადგილი უჭირავს და სამსავე მხარეს ისეთი მიუდგომელი ხევი აქვს, რომ ეკკლესიასთან ასვლა დაბლიდგან ყოვლად შეუძლებელია. მეოთხე მხარეს თუმცა მოსავალი აქვს და გზაც არის გაკეთებული, მაგრამ ისეთი აღმართი უძევს, რომ მტერი ადვილად ვერ გაბედავს მისვლას. ამ სიმაღლიდგან ერთი დაგორებული ქვა თითქმის ათს კაცს გაიტანს და თოფით ხომ ას კაცს შეუძლია ორი ათასის კაცის დამარცხება. ეკკლესიას გარშემო აქვს მაგარი ციხე და შეურყეველი ბურჯები. ეს ეკკლესია ძველადგანვე ორის საგვარეულოს სამარხია—ანდრონიკაშვილებისა და აბაშიძეებისა. თვით ეკკლესია დიდი არ არის, მაგრამ შესანიშნავია მხატვრობით, რომელიც ბერძნების ხელობას უნდა ეკუთვნოდეს. ბევრ ხატზედ არის ბერძნული ზედწარწერა და შეიძლება იმ ანდრონიკის აშენებულია ეს ეკკლესია, რომელიც გადმოსახლდა საბერძნეთიდგან და რომლისაგანაც მიიღეს გვარი ანდრონიკაშვილებმა. ამ ეკკლესიის მხატვრობა ბევრითა ჰგავს ძველ ნეკრესის ეკკლესიის მხატვრობას, რომელიც შარშან ვნახე, თუმცა განსხვავებაც დიდია მათ შორის. სხვა ნახატთა შორის გამაკვირვა ზოგიერთმა ნახატმა, მაგ., საკურთხეველში ტრაპეზს პირდაპირ დახატულია ექვსი მამათ-მთავარი, ზედ ბერძნული ზედ-წარწერებით; სხვა ხატზედაც იპოვება ბერძნული ზედ-წარწერა, მაგრამ კარგა აღარ ატყვია და ძნელი ამოსაკითხია. აქვე არის დახატული სილოამის წყარო, გვერდით არის მაცხოვარი მოციქულებითურთ. იმის დაბლა დახატულია სამარიტელი თავის კოკით ჰასთან, მაცხოვარს ელაპარაკება და უკან მოციქულები დგანან. სამწუხაროდ, მაცხოვარი აღარა სჩანს, რადგან ზედ გაჯი წაუსვამთ, არ ვიცი რათა. შესავალ კარებზედ დასავლეთით მთელს კედელზედ დახატულია განსჯა. ეკკლესია, სადამდისაც კაცი შესწვდება, გალესილია გაჯით და ნახატები აღარა სჩანს დაბლა.

ამ ეკკლესიის გვერდზედ არის ოთხი სხვა ეკკლესია, რომლებიც თუმცა არ დანგრეულან, მაგრამ გაუქმებულან, რადგან კედლების მეტი შიგ არა არის-რა. აქვე არის ერთი გრძელი შენობა ორ-სართულიანი, დაბლა გომურსა ჰგავს და ზევით ერთი ოთახია შვიდის ფანჯრითა და ორის კარებით. დასავლეთით სულ ათ ნაბიჯზედ ამ ეკკლესიიდგან არის დაბლა ხევში ჩასასვლელი გვირაბი. თითქმის ნახევარი ვერსი უნდა იაროს კაცმა დედამიწის ქვეშ, რომ ჩავიდეს ხევამდე. დაბლა ხევში გვირაბის გასავალ კარებზედ აშენებულია ბურჯი. აქეთ-იქით ხევის პირას აშენებულია მაგარი უზარმაზარი ციხე-ბურჯები, რომლებიც ჯერაც დროთა ბრუნვისაგან შეურყეველნი გადასცქერიან მიდამოს. ზოგის აზრით, ეს ის ალაგი უნდა იყოს, რომლის შესახებ ვახუშტი ამბობს თავის გეოგრაფიულ-ისტორიაში, რომ ვახტანგ გორგასლანმა ააშენა ციხე ვეჯინს და დასვა ვეჯინის მოურავიო.

ვათავებ რა ამ წერილს, არ შემიძლიან მადლობა არ გამოუცხადო მ. წიბალოვს, ბერიტაშვილსა და კარბელაშვილს, რომელთაც მიჩვენეს ნანგრევები.

შაქრო

## საბიბლიოგრაფიო შენიშვნა

(წერილი მესამე)

პარიჟის ნაციონალურის ბიბლიოთეკის ქართული ხელთ-ნაწერები.

„ვეფხის-ტყაოსანი“ ორს ნაწილად იყოფა: პირველი შეიცავს უკვდავ პოემას, მეორე კალენდარს, ცნობას სხვა-და-სხვა საჭირო შენიშვნებისას, რა დღეს რის გაკეთებაა ცუდი, ან კარგი. ამას ლათინურად უწოდებენ dies feralis („უქმი დღე“). აი ორიოდე მაგალითი ამოღებული ამ ხელთ-ნაწერიდგან: „თერთმეტს მთვარისას თავს ნუ დაიბან“, „ცხრას მიცემა კარგია“, „თოთხმეტს საძირკვლის ჩაყრა კარგია“, „22 დღეს იოსებ ლამაზი დაიბადა“, 26 მოსემ ზღვა გააპო, „აც დაიკარგოს ამ დღეს, ვერ პოვნოს“.

ამ ნაწილზედ მიბმულია კარაბადინი, რომელშიაც შეკრებილია სხვა-და-სხვა წამლის სახელი და დარიგებანი წამლობის შემზადების შესახებ. ერთს მაგალითს მოვიყვან: საშილე რამე გამრუნდეს, იმის წამალი მეცელი და წელი დაუზილე, მერე ათასი ბალახი უნდა აირიოს წასასმელად: პილპილი, მუშკი, დარიჩინი, ხურმა, ნუში, ერბო, ზამბახი .. აი ეს არის წამალი“.

„ვეფხის-ტყაოსანს“ აქვს ასეთი სათაური: დასაწყისი პირველი ამბავი სპარსული რუსთაველის ქართულად ნათარგმნები, რომელსა ვეფხის-ტყაოსნად უხმობენ. ტარიელის და ნესტან-დარეჯანის მიჯნურება. იწყება პოემა პირდაპირ ამ ტაეპიდამ:

ესე ამბავი სპარსული ქართულად ნათარგმანები
ვით მარგალიტი ობოლი ხელის-ხელ საგოგმანები
ვპოვე და ლექსად გარდავთქვი საქმე ვქმნე საჭოჭმანები
ჩემმან ხელ მქნელმან დამმართოს ლაღმან და ლამაზმანები.

და შემდეგ რიგზედ:

თვალთა მისგან უნათლოთა ენატრიმცა სხლად ჩვენა,
აჰა, გული გამიჯნურდა, მიხდომია ველთა რბენა და სხ.

პოემა აქ-იქ შეცვლილია, დამატებული და სინამდვილე ტექსტისა შერყეული.

„ვეფხის-ტყაოსანს“, როგორც ჰომეროსის „ილიადას და ოდისეას“, აქვს გაგრძელება სხვა მწერალთა მიერ დაწერილი. „კიკლიკი“, ასე უწოდებენ ჰომეროსის გამგრძელებელთ, ჩვენს «ვეფხის-ტყაოსანსაც» ერგო. პოემა, რომელმაც დიდი გავლენა მოიპოვა და პატივისცემა დაუმსახურებია ხალხში, არა რჩებოდა შეუვსებელი. ხალხი არა სვამს უკანასკნელს წერტილს იქ, სადაც პოეტი ათავებს. ამ გვარ გაგრძელებას ვეფხის-ტყაოსნისას წარმოადგენს ომაინის ამბავი, რომელიც, თუ არ ვსცდები, ჯერ არ არის ცნობილი ჩვენს მწერლობაში:

„ამბავი პირველი ტარიელის შვილის სარიდონის ძის ომაინ ჰაბუკისა, რომელიცა ამბავი ესე ზედ მოებმის ამბავსა ვეფხის-ტყაოსნისასა“.

დიდება შენდა, დიდება, ღვთით ყოვლისა მპყრობელო,
ჩვენ უღირსთაგან უცნობო, ენით მიუთხრობელო,
ცათა და ცისა მნათობთა საკვირვლად მაბრუნებელო,
ქვეყნისა, ქართა, ჴმელთა და ზღვათა შემბრწყინებელო.

ომაინის ცხოვრების ამბავი იწყება:

ტარიელის მე უკადრი დავჯდა ხელმწიფე ბრძნობილი,
მამის მამისა სახელი იყო სარიდონ ხმობილი,
პირველად ლაღი, ამაყი და მერე წყნარი, ლმობილი.
და ორგულთა მისცის შერისხვა, ერთგულთ წყალობა ტკბობილი,
მას ჰდგა ცოლი მნათობი ასული ავთანდილისა“...

შვილი არ ჰყავდათ დიდხანს, როცა მიეცათ, დაარქვეს ომიან.

ესე ასრე მოიზარდა, მოუმატეს ლხინსა ლხინი,
შვენებითა არვინ გვანდა ჭკვიანი და გონიერი.

ნადირობის დროს ერთხელ ომაინი ჰნახავს ზღვათა მეფის შვილს, რომელიც უამბობს მისრეთის მეფის ქალის ამბავს. ომაინი მიდის იმის სანახავად და გაემიჯნურდება. ბევრი ვაივაგლახი, ომი და დავიდარაბა გადახდება, ვიდრე ამ ქალს შეირთავს. ომაინის დიდის ხნის ომიანობას პოემა უთმობს უმეტესს ადგილს. თავდება, როგორც ყველა ამისთანა პოემა, კეთილად: ომაინი შეირთავს შეყვარებულს ქალს.

ამ პოემიდგან მოვიყვან ერთ ადგილს შესახებ ჩვენის მწერლებისა.

ვინცა ვისთვის ჭირსა ნახავს, ბოლოს აღარ წაუხდები,
ვით ამირანს მოსესაგან ქება კადრად შეუხდები,
აბდულ მესია შავთელსა ენა მრავლად მოუხდები
და დილარგისათვის თმოგველსა სიტყვა შაქრად გაუხდები,
ტარიელისთვის რუსთველი მიწყივე ცრემლის მღვრელია.

ამას ამბობს უცნობი პოეტი შოთას წაბაძვით (უკანასკ. ტაეპი). შეადარე:

ამირან დარეჯანის ძე მოსეს უქია ხონელსა,
აბდულ მესია შავთელსა, ლექსი მას უქს რომელსა,
დილარგვეთ სარგის თმოგველსა, მას ენა დაუშრობელსა,
ტარიელ მისსა რუსთველსა, მისთვის ცრემლ-შეუშრობელსა.

ომაინის ხელთ-ნაწერი გადუწერია დავით რექტორს.

„სრულ იქმნა 1782 თებერვლის 4 რიცხვსა“.

«მაღალ კეთილშობილი ალექსის ძე რექტორი დავით“.

რექტორს გადუწერია ავადმყოფობის დროს. თუმცა „ჩემგან ვიცი, ამბობს დავითი, რომენ სათანმეღებო არაა, არამცა აღწერა. მაგრამ, უმატებს განათლებული რექტორი: ცუდად ჯდომას ცუდი შრომა ვარჩიე“.

„ჩემი თქმული შაირი მაჯამოდ და თავად კიდურ წერილობადვე ჩემივე სახელი დავით:

დანაკოდარი სევდითა გული რა დადეგს იგებ,
ვიზრახე მუნით ასატმან წყლული ჭირს ქვე რად იგებ,
ისრათ ნაკრავსა სჯეროდა კვლა ლახვარს გულსა ნუ იგებ
თვალთა ნუ იდენ ცვარებსა იგვე დღე შენდა იგებ.

ხელთ-ნაწერში სართუბია ჩართული და ხშირად ხელ-ჩართული და სინგურით ნაწერიც იპოვება.

ა. ხახანაშვილი

## რუსეთი

რუსის მართებლობამ განიზრახა მოსპოს გერმანელებისა და იმათის ენის ბატონობა და სამაგიეროდ რუსულის წეს-წყობილებისა და ენის დამკვიდრება ბალტიის ზღვის მხარეს, რომელიც დასახლებულია ესტებითა და ლატიშებით და შეიცავს სამს ისტორიულს პროვინციას, სახელდობრ კურლიანდიას, ესტლიანდიას და ლიფლიანდიას. ეს ორი-სამი წელიწადია, რაც მთავრობა გულ-მოდგინედ დაადგა ამ გზას და სცდილობს დაამკვიდროს ქვეყანაში ისეთი რეფორმები, რომლებმაც სამუდამოდ უნდა აღმოფხვრან გერმანული ენა და გაუხსნან ფართო გზა რუსულს. ეს იყო მიზეზი, რომ შარშან სულ ძირეულად შესცვალეს დერპტის უნივერსიტეტის წესდება და ეხლა ამ უნივერსიტეტში თითქმის ყველა საგნები, სამღვთო-რჯულს გარდა, რუსულ ენაზე სწარმოებს, აგრეთვე თვით-მართველობასა და ოფიციალურ მიწერ-მოწერაში გერმანულის მაგიერ ეხლა რუსული იხმარება, მაგრამ ბალტელი გერმანელები აგრე ადვილად არ დამორჩილდნენ ამ ახალს წესებს, მედგრად ებრძვიან ახალის წესების შემოღებას და არავითარს საშუალებას არ ერიდებიან, ოღონდ თავიანთი ძველი უფლება დაიცვან. დერპტის უნივერსიტეტი თითქმის დაიცალა სტუდენტებისაგან ამ უკანასკნელ დროს და საუკეთესო პროფესორები გაიხვეწნენ გერმანიის სხვა-და-სხვა უნივერსიტეტში. ამ საქმეში მხურვალე მონაწილეობა მიიღო თვით სამღვდელოებამაც. „Новое Время“-ს სიტყვით, პასტორები ხშირად იკრიბებიან სახლებში და თათბირი აქვთ იმაზე, თუ რა გზას დაადგნენ მთავრობის განკარგულებისა და ახალის წეს-წყობილების საწინააღმდეგოდ. ზოგი მათგანი-კი დადის თავის სამწყსოში და ურჩევს, არ მიაბარონ შვილები იმ სკოლებში, სადაც სახელმწიფო ენა სავალდებულოდ გაუხდიათ. აგრეთვე დიდის გულ-მოდგინებით ასწავლიან, რომ თავიანთის დავა-საჩივრის განსახილველად და გასარკვევად მიჰმარ-

თონ ხოლმე სამღვდელოებას და არა მთავრობისაგან დაწესებულ სამსჯავროებს. თითო-ოროლა პასტორი-კი ისე თავ-ხედად და გაბედვით იქცევა, რომ ეკკლესიებშიაც არ ერიდება ამ აზრების ქადაგებას. რასაკვირველია, პასტორების ამ გვარ საქციელს დიდი ზედ-გავლენა აქვს ბალტიის გერმანელებზედ. ამ ხანად თურმე იქ ერთს გერმანელს ვერ იპოვით, რომ რუსულს ლაპარაკობდეს. თითქო განგებ ყველამ დაივიწყა რუსული, ასე რომ რუსები, ესტები, ლატიშები, ვისაც-კი რამე სავაჭრო კავშირი აქვთ გერმანელთან, იძულებულნი გახდნენ შეისწავლონ გერმანული. თვით გერმანელებიც აღარ აძლევენ თავიანთ შვილებს ახალს სკოლებში და ყოველ ღონის-ძიებას ხმარობენ, რომ დაიცვან თავიანთი ენა. უმაღლესის განათლების მისაღებად შვილებს ჰგზავნიან გერმანიის უნივერსიტეტში...

## წვრილი ამბები

ინგლისის სამკურნალო ჟურნალში შემდეგი ამბავია მოთხრობილი: შელმსდორფის ქსენოში, ესეგსის საგრაფოში, მიიყვანეს ერთი ყმაწვილი დედაკაცი, რომელსაც რამდენისამე თვის განმავლობაში ორი ათასამდე ნემსი ჩაეყლაპა. ნემსის ყლაპვა არა-ერთხელ შეუმჩნევიათ სულით ავადმყოფთათვის, მაგრამ ეხლა ეს ყმაწვილი დედაკაცი სრულიად ჯან-საღია და არც გონება აკლია. იგი სრულიად ჰგრძნობს თავისის ჩვეულების სიცუდეს, სთხოვს სხვებს, რომ თვალ-ყური მადევნეთ და თუ ნემსი ჩავიგდო როგორმე, ხელი შემიშალეთო, და თითონ-კი ამასობაში სცდილობს მოატყუოს ყველა, საუკეთესო დრო ჩაიხელოს და რამდენიმე ნემსი გადაყლაპოს. არიან ისეთებიც, რომელნიც მუჭობითა ჰყლაპავენ ქინძისთავებს და იმას ამჯობინებენ ნემსების ყლაპვას. ჩაყლაპული ნემსები მთელს სხეულში დასეირნობენ ხანდახან მთელის წლობით და უმეტესად-კი რამდენისამე თვით. შემდეგ გზას გაიკვლევენ და კანს ქვეშ იყრიან თავს. მაშინ იმათი ამოღება ისევე ადვილად შეიძლება, როგორც ბალიშიდგან. დოქტორს ოტტოს კოპენჰაგენში უწამლია ერთის ყმაწვილის ქალისათვის, რომელსაც ისტერიკის დროს დიდ-ძალი ნემსი ჩაეყლაპნა. ყველა ეს ნემსები გამოჩენილა სხეულის სხვა-და-სხვა ადგილს და ექიმს სულ სამას ოთხმოცი ნემსი ამოუღია. ყმაწვილს ქალს ტანზედ სიმსივნე აჩნდებოდა და ან უყვითლდებოდა ერთი რომელიმე ადგილი, და ეს იყო იმის ნიშანი, რომ ნემსს გაეკეთებინა იქ ბუდე. ნემსები სხვა-და-სხვა დროს ჩნდებოდა, ერთად თავ-მოყრილი, და ყველანი ერთმანეთს გვერდზედ ეწყნენ თურმე, ზედი-ზედ იყვნენ მიწყობილნი. იმათ გამოჩენამდე ავადმყოფს ტკივილი უტყდებოდა და ციება ემართებოდა. შემდეგ ჩხვლეტასა ჰგრძნობდა ხოლმე და ნემსი ამოჰყოფდა წვერს კანიდგან. ამისთანა ავადმყოფი მხოლოდ იმ შემთხვევაში მორჩება, თუ ნემსებს თავის მოგზაურობის დროს სხეულში რომელიმე შესანიშნავი ორგანო არ დახვდათ წინ და არ წაახდინეს.

— კარნოს ხელი მოუწერია დეკრეტზედ, რომლითაც, პარიჟის სამუნიციპალო საბჭოს შუამდგომლობისამებრ, ნება ეძლევათ ძეგლი აუგონ წმ. ავგუსტინის მოედანზედ ფრანგთა საყვარელს პოეტს, ალფრედ დე-მიუსეს.

— ნოგანს, საფრანგეთში, გარდაცვლილა 66 წლის მორის ზანდი, გამოჩენილის ჟორჟ ზანდის ვაჟიშვილი, რომელიც მწერალი იყო და ამას გარდა ნიჭიერი მხატვარიც. მორისს ათამდე რომანი დაუწერია.

— საფრანგეთში ერთი საოცარი ამბავი მომხდარა: სამს დას, გაუთხოვრად დარჩენილებს, ქალაქ ვეზონეს მცხოვრებთ განკერძოებულს სახლში, თავი მოუკლავთ. ჯერ თავის მოკვლამდე რევოლვერით დაუხოციათ თავისი ცხენი, ძაღლი და კატა, სახლი დაუკეტიათ და ცეცხლი წაუკიდებიათ და შემდეგ თითონაც დახოცილან. ამ სამს დას 15,000 მანათამდე ვალი დარჩენია.

— ყველაზედ საუკეთესო პოლიციად მთელის ქვეყნის პირზედ ამერიკის პოლიცია ითვლება ნიუ-იორკში. მთელს ნიუ-იორკში ორს მილიონზედ მეტი მცხოვრებია და სულ 3,000 პოლიციელი ჰყავთ. ეს პოლიციელები ღონიერნი არიან, მოხერხებულნი, ნასწავლნი და შეუდარებელის ყოფა-ქცევისანი. ყოველი პოლიციელი ვალდებულია არასოდეს არ ითამაშოს ქაღალდი, ღვინო არ დალიოს, თამბაქო არ მოსწიოს და არამართებული სიტყვები არ წარმოსთქვას. ყოველი მათგანი ყველასთან ზრდილობიანი უნდა იყოს, თუ ასე არ მოიქცევა, მაშინვე დაითხოვენ სამსახურიდგან. ეს მშვენიერი პოლიცია ნიუ-იორკს ექვსი მილიონი მანათი უჯდება თურმე, თითო სული 2,000 მან., ანუ ორასი თუმანი.

— იშლში საიმპერატორო ჭალას ახლო ამას წინად დუელი ჰქონიათ გრაფინია ირმა კინსკისა და გრაფინიავე შენბორნს, ვენის ორს უმშვენიერესს არისტოკრატ ქალს. გრაფინია შენბორნი მარცხენა გვერდში დაჭრილა, გრაფინია კინსკისა-კი — მხარში. ამ ბრძოლის შემდეგ მოწინააღმდეგენი შერიგებულან. ბრძოლის საბაბი საიმპერატორო გვარდიის ერთი ულამაზესი აფიცერი ყოფილა.

— ბევრჯელ თქმულა, რომ გერმანელებს მალიან გრძელი სიტყვები აქვთო. აი კიდევ ერთი მაგალითი ამისი: „Metaamidomethylathilmethylbenzyl - diamidophenylcarbinol“. ამისთანა გრძელი სიტყვა ჯერ არავის დაუსახელებია. ამ სიტყვაში სულ ორმოცდა-ცამეტი ასოა და ამას წინად ყოფილა დაბეჭდილი ერთს გერმანულს ჟურნალში.

## დეპეშა

4 სექტემბერი

ჰანოვერი. მემკვიდრე ცესარევიჩი დაესწრო სადილზე, რომელიც გამართეს იმპერატორის ვილჰელმის პატივის საცემლად. მისი უმაღლესობა სადილის დროს იჯდა იმპერატრიცის მარჯვენა მხრით.

ლონდონი. ხორბლის ალებ-მიცემობის საქმეს ხელი შეუშალა იმ ამბავმა, ვითომ ნავთსადგურის მუშების დაწყნარება და დამშვიდება გაჭირდაო.

5 სექტემბერი

ოდესა. გუშინ აქ ჩამოვიდა დედოფალი სერბიისა, ნატალია აქედგან ცოტა ხნის შემდეგ რუმინიაში აპირობს წასვლას.

პეტერბურგის ბირჟა, 1 სექტემბერი.

| | მყიდველია | გამყიდველია | გაყიდულა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | — " | — " | 7 62½ |
| იმპერიალის კუპონები | — " | — " | 152 |
| მანათიანი ვერცხლის ფული | 1 10 | — " | — " |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | 263 | — " | — " |
| —მეორისა | 238¾ | — " | — " |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა | — " | 97½ | — " |
| ქუთაისის ბანკისა | — " | 98 | — " |
| ტფილისის საერთო ნდობის საზოგადოებისა | 83¾ | — " | — " |

გამოსაღები ცნობანი

ნიხრი

1 სექტემბრიდამ 1 ოქტომბრამდე.

| | | |
|---|---|---|
| თითო პური რუსული 1 გირ. | 5 | კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა | 3½ | " |
| " 2 " | 3 | " |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | " |
| " " 2 — | 4 | " |
| " " 3 " | 3½ | " |
| ჯვარის მამის პურის ლავაში 1-ლის ხარისხისა | 5 | " |
| მე-2 ხარისხისა | 4 | " |
| მე-3 — | | " |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 8 | " |
| " 2 " | 7 | " |
| სუკი | 14 | " |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 7 | " |
| ღორის ხორცი | " | " |
| " 2 " | " | " |

## განცხადებანი

ბ-ნი რატილი

აუწყებს ქართულის ხოროს მგალობელთ, რომ უკვე დაბრუნდა ტფილისს, ბინა აქვს მუხრანის ქუჩაზე, ქართველიშვილის სახლში, № 10, და იწვევს მგალობელთა თავისთან 6-ს ამ თვისას, ოთხშაბათს, საღამოს 5-ს საათზე (2—2)

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები:

ცდა, კრებული, გამ. ალ. გარსევანიშვილის მიერ. " 50

ქართული გრამმატიკა (ეტიმოლოგია და სინტაქსი), შეთხზული და გამოცემული თ. ჟორდანიასაგან . . . . . . " 55

მცხეთის დედათა მონასტერში დაარსდა ახალი ოთხ-კლასიანი დედათა სასწავლებელი, რომელშიაც პროგიმნაზიული სწავლა იქნება დაახლოვებით პროგიმნაზიისავე პროგრამით. სასწავლებელთანვე დაარსებულია მოსამზადებელი კლასი. სწავლა დაიწყება 1-ს სექტემბრიდგან.

სასწავლებელში გამართულია პანსიონი. პანსიონში შემსვლელთათვის დანიშნულია ფასი პირველ წელიწადს თორმეტი თუმანი, ხოლო შემდეგს წლებში — ათ-ათი თუმანი. გარეშე მოსიარულეთათვის სწავლების ფასი თხუთმეტი მანეთია. სასწავლებელში შესვლის მსურველებმა ანუ იმათმა მშობლებმა უნდა მიჰმართონ მცხეთის დედათა მონასტრის წინამძღვარს და თხოვნასთან ერთად წარადგინონ წლოვანების მოწმობა და აცრის ქაღალდი. თვით პროგრამმა თავის დროზედ გამოცხადებული იქნება.

პირველ წლობით მხოლოდ მოსამზადებელი და პირველი კლასია დაარსებული. (10—10)

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 102).

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

ცხოვრება ღირსისა მარიამ მან. კაპ. მეგვიპტელისა, გამოცემა «საღმრთო წიგნთ-კაკითხავისა» . . . . . " 10
თამარიანი, რაფიელ ერისთავისა . . . . " 60
თორნიკე ერისთავი . . . 1
საყმაწვილო ამბები . . . " 40
ნინო ორბელიანის ლექსები " 40
არითმეტიკა, მ. ყიფიანისა. " 80
სურამის ციხე . . . . " 20
გენათის მონასტერი, გამოც. ღამბაშიძისა . . . . " 25
ფშაური ლექსები, გაზ. „ივერიის“ გამოცემა. . . . " 40
თამარ-ცბიერი, ისტორიული ოთხ-მოქმედებიანი დრამატიული პიესა . . . . " 50
მეკვეთისტაძარი, გამოც. ღამბაშიძისა. . . . . " 25
კრებული არითმეტიკულ ამოცანებისა, რ. ჯაჯანაშვილისა . " 40
დედაკაცის ხვედრი ნამბობი გლეხ-კაცის ქალისა, თარგმანი ი. რამიშვილის მიერ . " 15
საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ალექსანდრე ყიფშიძის გამოც. . . 3 "
ოტელლო, შექსპირის ტრაგედია, ი. მაჩაბლის ნათარგმნი ინგლისურიდამ . . . " 50
სურათები გლეხ-კაცის ცხოვრებიდამ ეგ. გაბაშვილისა . . " 10

კერძო ექიმი

პრეობრაჟენსკი

არჩენს ელექტრონითა: ფარადისებურ და გალვანისებურ ხელისა და ფეხის სიდამბლეს, ნეკრესის სნეულებას, ნეკრესის ქარსა და კონტრაქტურას (გაზავის ნასკვს); არჩენს აგრეთვე სიდამბლისაგან ყრუდ, ბრმად და მუნჯად ჩავარდნილთა.

ამას გარდა სწამლობს დედათა სნეულებასა და სიფილისს. ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე: დილით 9 საათიდგან 12 საათამდე და საღამოთი 7—8 მდე.

ადრესი: მიხეილისა და ელისაბედის ქუჩების შესახვევში, მიხეილის ქუჩით № 9 და ელისაბედის ქუჩით № 2, სახლი პოპოვისა, ვორონცოვის ნომრების პირდაპირ, საინტენდანტოს უწყების მახლობლად. (10—5)

მიხ. ალ. ნასიძე

ამზადებს ყმაწვილებს გიმნაზიისა, კორპუსისა, რეალურ და სამოქალაქო სასწავლებელთათვის. გარედამ მოსიარულე ყმაწვილები იხდიან თვეში 10 მან., სახლში აყვანილნი — 30 მანათს. მიხეილის ქუჩაზედ, კუკიაში, სახლი № 108 (50—39)

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“

1889 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

ფასი:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვეით | 10 მ. — კ | 6 თვეით | 6 მ. — კ |
| 11 " | 9 " 50 " | 5 › | 5 " 25 " |
| 10 " | 8 " 75 " | 4 › | 4 " 75 " |
| 9 " | 8 " — " | 3 › | 3 " 50 " |
| 8 " | 7 " 25 " | 2 › | 2 " 50 " |
| 7 " | 6 " 50 " | 1 › | 1 " 75 " |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე — 40 კაპ.

თუ თვეის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგი თვეის პირველს დღიდამ გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე — 16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი — 60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვეის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ვეღარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმების გარდა, პირველ საათიდამ სამს საათამდე და საღამობით 7-დამ 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ავჭალის ქუჩაზე, თ. გრუზინსკის სახლში.

Доз. ценз. Тифлисъ 5-го Сентября, 1889 года. სტამბა ე. გ. მესხისა. (Тиографія Е. Г. Месх. пом. Т. Д. З. Банка на Фрейлинской ул.). რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე